ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1932 წ. მაისის 25. № 9 ნაწილი პირველი

შ ი ნ ა ა რ ს ი

სახელმწიფო წყობილება და მმართველობა.

66. საქართველოს სსრ სასოფლო საბჭოების დებულების დამტკიცების შესახებ. დებულება საქართველოს სსრ სასოფლო საბჭოების შესახებ.

სახელმწიფო წყობილება და მმართველობა

66. დადგენილება ც.ა.კ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

საქართველოს სსრ სასოფლო საბჭოების დებულების დამტკიცების შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1930 წ. თებერვლის 3-ის დადგენილებით დამტკიცებული „სსრ კავშირში სასოფლო საბჭოების ორგანიზაციის ძირითადი საფუძვლების“ შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1930 წ. მე-16 №-ი, მუხ. 172) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, მასში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიითურთ, ამასთანავე დართული დებულება საქართველოს სსრ სასოფლო საბჭოების შესახებ.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ერთი თვის განმავლობაში წარმოადგინოს დადგენილების პროექტი საქ. სსრ-ის მომქმედ კანონმდებლობაში იმ ცვლილებების შეტანის შესახებ, რაც 1 მუხლში აღნიშნული დებულებიდან გამომდინარეობს.

3. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეიტანონ თავიანთ კანონმდებლობაში ის ცვლილებანი, რაც 1 მუხლში აღნიშნული დებულების სამოქმედოდ შემოღებასთან იქნება დაკავშირებული.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. მარტის 13.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სასოფლო საბჭოების შესახებ.

თ ა ვ ი I.

ზოგადი დებულებანი.

1. სასოფლო საბჭო თავისი ტერიტორიის ფარგლებში არის ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომლის მეშვეობითაც პროლეტარიატი ანხორციელებს თავის დიქტატურას.

2. სასოფლო საბჭო ასრულებს შემდეგ ძირითად ამოცანებს:

ა) ანხორციელებს ღონისძიებებს სოფლის მეურნეობის და ყოფაცხოვრების სოციალისტური გარდაქმნისათვის, მონაწილეობას იღებს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ჩატარებაში, აწარმოებს შეტევას კულაკური და კლასიურად მტრული სხვა ელემენტების წინააღმდეგ და ანხორციელებს კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციას მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე, რაზმავს კოლმეურნეთა, მოჯამაგირეთა, ღარიბთა და საშუალო გლეხთა ფართო მასებს იმ მიზნით, რომ ისინი ჩაბმულ იქნენ სახელმწიფო მმართველობის ორგანოებში და სოციალისტურ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში;

ბ) სწყვეტს სასოფლო მნიშვნელობის ყველა საკითხს და იხილავს სარაიონო, რესპუბლიკანური, ფედერატიული და საერთო-საკავშირო მნიშვნელობის საკითხებს, რომელთა შესახებაც წარადგენს თავის წინადადებებს ზემდგომ ორგანოებში;

გ) ხელმძღვანელობას უწევს მის გამგებლობაში მყოფ ყველა დაწესებულებას, საწარმოს და ორგანიზაციას, თვალყურს ადევნებს მის ტერიტორიაზე მყოფ, მის არაქვემდებარე დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მოქმედებას და ხელს უწყობს იმ ღონისძიებათა გატარებას, რასაც მის ტერიტორიაზე ანხორციელებენ სახელმწიფო ორგანოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები;

დ) ხმარობს ღონისძიებას იმისათვის, რომ ყველა საწარმომ, ორგანიზაციამ და ცალკე მოქალაქეებმა შეასრულონ დაკისრებული სახელმწიფო დავალებანი;

ე) აწარმოებს მუშაობას ქვეყნის თავდაცვის უნარის განსამტკიცებლად;

ვ) აწარმოებს ბრძოლას კლასიური პროლეტარული პოლიტიკის ყოველგვარ დამახინჯებასთან და თვალყურს ადევნებს, რომ ყველა მოქალაქე და თანამდებობის პირი მის ტერიტორიაზე ასრულებდეს საბჭოთა ხელისუფლების კანონებსა და განკარგულებებს.

თავისი ამოცანების შესასრულებლად სასოფლო საბჭო ხელმძღვანელობს მომქმედ კანონებს და ზემდგომი ორგანოების დირექტივებს.

3. სასოფლო საბჭო რაზმავს მშრომელ მასებს სოციალისტური მშენებლობის ამოცანების შესრულებისათვის და მთელ თავის მუშაობას ანხორციელებს თვითკრიტიკის გაშლის საფუძველზე, აგრეთვე ზრუნავს შრომის სოციალისტური ფორმების—სოციალისტური შეჯიბრის, დამკვრელობის და სხვ. ფართოდ გავრცელებისათვის.

4. სასოფლო საბჭო, მინიჭებული უფლების ფარგლებში, სცემს სავალდებულო დადგენილებებს და ადებს ადმინისტრატიულ გადასახდელს.

5. სასოფლო საბჭოს აქვს იურიდიული პირის ყველა უფლება.

6. სასოფლო საბჭო უშუალოდ ექვემდებარება სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს.

იმ სოფლებში, რომელნიც ქალაქთან არიან შეერთებული, სასოფლო საბჭო სათანადო საქალაქო საბჭოს ექვემდებარება.

საქალაქო საბჭო მისთვის დაქვემდებარებული სასოფლო საბჭოების მიმართ ანხორციელებს ყველა უფლებას და მოვალეობას, რაც მიკუთვნილი აქვს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს.

თ ა ვ ი II.

სასოფლო საბჭოების ორგანიზაცია.

7. სასოფლო საბჭო, როგორც წესი, ეწყობა თვითეულ სოფელში.

რამდენიმე სოფელი შეიძლება გაერთიანდეს ერთ სასოფლო საბჭოში, უკეთუ ეს არ იწვევს ზიანს სოფლების სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრებისათვის და აგრეთვე მოსახლეობის ნაციონალური ინტერესებისათვის.

შენიშვნა. იმ სოფელში, რომელიც რაიონის ცენტრია, სასოფლო საბჭო ეწყობა საერთო საფუძველზე.

8. მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონში რამდენიმე სოფლის ერთ კოლმეურნეობაში გაერთიანების დროს სასოფლო საბჭო ეწყობა იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც ვრცელდება კოლმეურნეობა.

9. სასოფლო საბჭოების საერთო ქსელის დაწესება, საზღვრების შეცვლა და აგრეთვე სასოფლო საბჭოების ცენტრების გადატანა ხდება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით.

ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში სასოფლო საბჭოების ქსელის დაწესება, საზღვრების შეცვლა და სასოფლო საბჭოების ცენტრების გადატანა ხდება სათანადო ავტონომიური რესპუბლიკისა თუ ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დამტკიცებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. სასოფლო საბჭო ირჩევა იმ ანგარიშით, რომ მოსახლეობის 100 კაცზე მოდიოდეს ერთი დეპუტატი. უკეთუ აღნიშნული ანგარიშის თანახმად არჩეულ უნდა იქნეს 5 დეპუტატზე ნაკლები, სასოფლო საბჭოში ირჩევა 5 დეპუტატი.

სასოფლო საბჭოების ასარჩევად ამა მუხლით დადგენილი ნორმა წარმომადგენლობისა ცალკეული ადგილებისათვის შეიძლება შეიცვალოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდუმის დადგენილებით.

შენიშვნა. აჭარისტანის ავტონომიურ სოც. საბჭ. რესპუბლიკაში სასოფლო საბჭო ირჩევა იმ ანგარიშით, რომ ერთი დეპუტატი მოდიოდეს მოსახლეობის ყოველ 50 კაცზე.

11. სასოფლო საბჭოს არჩევნებთან ერთად ირჩევიან სასოფლო საბჭოს წევრთა კანდიდატები წევრთა საერთო რიცხვის ერთი მესამედის რაოდენობით.

12. სასოფლო საბჭოს არჩევნებში მანაწილეობას იღებს მთელი მოსახლეობა, რომელიც არჩევნების მომენტისათვის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზეა და რომელსაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის თანახმად საარჩევნო უფლება აქვს.

13. სასოფლო საბჭოს არჩევნები ხდება იმ წესით, რაც დადგენილია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ინსტრუქციით „მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევის შესახებ“.

14. სასოფლო საბჭო ირჩევა ერთი წლის ვადით.

სასოფლო საბჭოს ვადამდე გადარჩევა მოხდება:

ა) უკეთუ სასოფლო საბჭოს შედგენილობიდან გამოვა მისი წევრების ნახევარზე მეტი, მას შემდეგ, რაც კანდიდატთა მთელი სია ამოწურული იქნება;

ბ) უკეთუ ამას მოითხოვს ამომრჩეველთა $^2/_3$;

გ) უკეთუ სასოფლო საბჭო დაამახინჯებს კლასიურ პროლეტარულ პოლიტიკას, უკეთუ მასში აღმოჩნდება უცხო ელემენტები, ან უკეთუ საბჭო უმოქმედობას გამოიჩენს.

საკითხს ზემოაღნიშნული საფუძვლის გამო სასოფლო საბჭოს ვადამდე გადარჩევის შესახებ სწყვეტს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი.

15. ამომრჩევლებს უფლება აქვთ ყოველ დროს უკან გაიწვიონ მათ მიერ არჩეული სასოფლო საბჭოს დეპუტატი, რომელმაც ამომრჩეველთა ნდობა ვერ გაამართლა. უკან გაწვეული დეპუტატის ნაცვლად მოხდება დამატებითი არჩევა.

დადგენილება ამა თუ იმ დეპუტატის უკან გაწვევის შესახებ მიიღება ამომრჩეველთა ხმის უმეტესობით და კანონიერად ჩაითვლება, უკეთუ კრებას დაესწრო ამომრჩეველთა არა ნაკლებ 50%-ისა (საქართველოს სსრ მთიან ადგილებში—არა ნაკლებ 40%-ისა) ამა თუ იმ საარჩევნო უბანში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპუტატის უკან გაწვევის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და არსებითად არ განისაჩივრება.

16. სასოფლო საბჭოს არა აქვს უფლება ჩამოართვას საბჭოს ცალკეულ წევრებს მათი უფლებამოსილობა, გარდა იმ შემთხვევისა:

ა) უკეთუ საბჭოს წევრი დაჰკარგავს საარჩევნო უფლებას;

ბ) უკეთუ იგი საცხოვრებლად სასოფლო საბჭოს ტერიტორიის გარეთ წავა;

გ) უკეთუ იგი განაცხადებს, რომ სურს დეპუტატის უფლებამოსილობის მოხსნა.

სასოფლო საბჭო ვალდებულია დასვას ამომრჩეველთა წინაშე საკითხი დეპუტატის უკან გაწვევის შესახებ იმ შემთხვევაში:

ა) უკეთუ დეპუტატი თავის მუშაობაში დაამახინჯებს კლასიურ პროლეტარულ პოლიტიკას;

ბ) უკეთუ დეპუტატი სისტემატიურად არ ასრულებს თავის მოვალეობას;

გ) უკეთუ იგი დეპუტატისათვის შეუფერებელ საქციელს ჩაიდენს.

17. სასოფლო საბჭოს მორიგი სხდომა მოიწვევა თვეში ერთხელ მაინც.

18. სასოფლო საბჭოს სხდომაში მონაწილეობას იღებენ გადამწყვეტი ხმის უფლებით საბჭოს წევრები და სათათბირო ხმის უფლებით საბჭოს წევრთა კანდიდატები (უკეთუ ისინი საბჭოს იმ წევრებს არ სცვლიან, რომელნიც სხდომაზე არ არიან), ზემდგომი აღმასრულებელი კომიტეტების წევრები, სექციის წევრები, სასოფლო სარევიზიო კომისიის წევრები და აგრეთვე ცალკე მოწვეული პირები.

19. სასოფლო საბჭოს სხდომა, როგორც წესი, კარ-ღიაა და ყველა პირს, ვისაც საარჩევნო უფლება ჩამორთმეული არა აქვს, შეუძლიან მას დაესწროს.

20. სასოფლო საბჭოს სხდომა კანონიერია, უკეთუ მას დაესწრო საბჭოს წევრთა რიცხვის ნახევარი მაინც.

21. უმეტესად მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად მოიწვევა საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელშიაც სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობას მიიღებენ მუშები, მოჯამაგირენი, კოლმეურნენი, ღარიბ და საშუალო გლეხთა აქტივი, პროფესიონალური, პარტიული, კომკავშირული, კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელნი, ქალთა სადელეგატო კრებების წარმომადგენელნი, სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოს წევრები, და აგრეთვე სოფლის თანამდებობის პირნი (ექიმი, აგრონომი, მასწავლებელი, მიწათმომწყობი და სხვ.).

22. ხელისუფლების მოსახლეობასთან მიახლოვების მიზნით ეწყობა სასოფლო საბჭოს გამსვლელი სხდომები.

23. სასოფლო საბჭო თავისი მოქმედების ანგარიშს აბარებს ამომრჩევლებს წელიწადში ორჯერ მაინც.

24. სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი ორგანოებია:

ა) პრეზიდიუმი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) თავმჯდომარე;

გ) სასოფლო საბჭოს რწმუნებულნი.

25. პრეზიდიუმი ეწყობა იმ სასოფლო საბჭოებში, რომელთა წევრების რიცხვი 10-ზე ნაკლები არ არის.

პრეზიდიუმს ირჩევს სასოფლო საბჭო წევრთა ისეთი რიცხვით, რასაც განსაზღვრავს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი — 3-დან 7-მდე.

26. პრეზიდუმი ასრულებს სასოფლო საბჭოს გადაწყვეტილებებს, თვალყურს ადევნებს, რომ ეს გადაწყვეტილებანი შეასრულონ სათანადო ორგანოებმა და მოსახლეობამ, აწარმოებს მიმდინარე მუშაობას, ხელმძღვანელობას უწევს სასოფლო საბჭოს სხდომებს, ამზადებს ამ სხდომებისათვის საჭირო მასალებს და შეაქვს დადგენილებათა პროექტები სასოფლო საბჭოში განსახილველად.

27. სასოფლო საბჭოს ერთი სხდომიდან მეორე სხდომამდე სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმს აქვს სასოფლო საბჭოს ყველა უფლება, გარდა იმ საკითხების გადაწყვეტისა, რაც მარტოოდენ სასოფლო საბჭოს პლენუმის გამგებლობის საგანს შეადგენს, როგორიც არის:

ა) სახალხო მეურნეობის და სოციალურ-კულტურული მშენებლობის განვითარების სარაიონო გეგმის განხილვა და მის შესახებ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისათვის დასკვნის მიცემა;

ბ) სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე სახალხო მეურნეობის და სოციალურ-კულტურული მშენებლობის განვითარების გეგმის განხილვა;

გ) სასოფლო საბჭოს მუშაობის გეგმის დამტკიცება;

დ) სხვადასხვა სახის სექციებისა და მათი საერთო რიცხვის განსაზღვრა:

ე) საბჭოთა სარაიონო ყრილობისათვის დელეგატების არჩევა;

ვ) სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმის, თავმჯდომარის და მდივნის არჩევა;

ზ) სასოფლო ბიუჯეტის და აგრეთვე მისი აღსრულების ანგარიშის განხილვა;

თ) სასოფლო ბიუჯეტით დამატებითი ხარჯთაღრიცხვების განხილვა;

ი) ცალკეულ პირთათვის მიწათსარგებლობის უფლების ჩამორთმევის საკითხების განხილვა (მ. 46, პ. „ლ“);

კ) სხვა საკითხები, რაც მომქმედი კანონებით ან სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის სპეციალური დადგენილებით მხოლოდ სასოფლო საბჭოს გამგებლობას მიეკუთვნება.

28. სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმი მოიწვევა საჭიროების მიხედვით, ხოლო 10 დღეში ერთხელ მაინც.

29. სასოფლო საბჭოს პრეზიდუმი თავისი მოქმედების ანგარიშს აბარებს სასოფლო საბჭოს წელიწადში ოთხჯერ მაინც.

30. სასოფლო საბჭოს პრეზიდუმის ყველა დადგენილება იცემა სასოფლო საბჭოს სახელით და მას ხელს აწერენ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

31. სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს ირჩევს სასოფლო საბჭო მის წევრთა შედგენილობიდან. თავმჯდომარე, სოფლის საბჭოს მიერ მინიჭებული უფლების ფარგლებში, ანხორციელებს საჭირო ღონისძიებებს სოფლის საბჭოს სახელით და აღნიშნულ ღონისძიებათა შესახებ აცნობებს სასოფლო საბჭოს პრეზიდუმს ან სასოფლო საბჭოს მათ უახლოეს სხდომაზე.

სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის ყველა განკარგულება შეიძლება გაუქმებულ იქნეს სასოფლო საბჭოს პრეზიდუმის ან სასოფლო საბჭოს მიერ.

32. სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს უფლება არა აქვს მიატოვოს თავისი მუშაობა სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თანხმობის გარეშე, ხოლო სასოფლო საბჭოს პრეზიდუმის წევრს—სასოფლო საბჭოს თანხმობის გარეშე.

33. უმოქმედობისათვის ან კლასიური პროლეტარული პოლიტიკის დამახინჯებისათვის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმს დაშლის, ხოლო უკეთუ ამას თავმჯდომარე ჩაიდენს, მას თანამდებობიდან გადააყენებს.

ამ შემთხვევაში სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებით მოიწვევა სასოფლო საბჭოს საგანგებო სხდომა ახალი პრეზიდიუმისა და თავმჯდომარის ასარჩევად.

34. სასოფლო საბჭოს მდივანს ირჩევს სასოფლო საბჭო თავის წევრთაგან ან სხვა ისეთ პირთაგან, რომელთაც საარჩევნო უფლება აქვთ.

35. სასოფლო საბჭოს ტეხნიკური აპარატის სტრუქტურასა და შტატს ამტკიცებს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი.

36. ცალკეული საკითხების დასამუშავებლად და სხვა მინდობილობათა შესასრულებლად სასოფლო საბჭოს შეუძლიან მოაწყოს მუდმივი ან დროებითი კომისიები, რომელთა შედგენილობა და გამგებლობის საგანი განისაზღვრება სათანადო კანონით ან სასოფლო საბჭოს დადგენილებით.

37. რათა დამყარებულ იქნეს ცალკეული სოფლების მუდმივი კავშირი იმ სასოფლო საბჭოსთან, რომელიც მათ აერთიანებს, და რათა აღნიშნულ სოფლებში განხორციელდეს სასოფლო საბჭოს ღონისძიებანი, ამ სოფელში ინიშნებიან სასოფლო საბჭოს რწმუნებულები.

რწმუნებული არ ინიშნება იმ სოფელში, სადაც სასოფლო საბჭოა.

38. სასოფლო საბჭოს რწმუნებულს ამა თუ იმ სოფლისათვის სასოფლო საბჭო ნიშნავს აღნიშნულ სოფელში მცხოვრებ საბჭოს წევრთა რიცხვიდან, ხოლო უკეთუ ასეთი წევრები არ არიან—სასოფლო საბჭოს წევრთა კანდიდატების რიცხვიდან. უკეთუ სოსოფლო საბჭოს შედგენილობაში ამა თუ იმ სოფლიდან წევრები და კანდიდატები არ არიან, რწმუნებული ირჩევა ამ სოფლის ამომრჩეველთა საერთო კრებაზე და მას ამტკიცებს სასოფლო საბჭო.

39. სასოფლო საბჭოს რწმუნებული თავის მუშაობას იმ სოფელში, რომლის წარმომადგენელიც ის არის, ატარებს სასოფლო საბჭოს საერთო ხელმძღვანელობით და მისი სპეციალური დირექტივებით. რწმუნებული თავისი მუშაობის ანგარიშს წარუდგენს სასოფლო საბჭოს და სათანადო სოფლის ამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრჩეველთა საერთო კრებებს. რწმუნებულს უფლება არა აქვს შესწყვიტოს თავისი მოვალეობის აღსრულება სასოფლო საბჭოს თანხმობის გარეშე.

40. რათა გაძლიერებულ იქნეს სასოფლო საბჭოს უშუალო კავშირი მშრომელებთან, დიდ სოფლებში კომლთა ჯგუფებს, კვარტალებს და სხვ. მიემაგრებიან საბჭოს ცალკეული წევრები.

კომლთა ჯგუფზე, კვარტალზე და სხვ. მიმაგრებული სასოფლო საბჭოს წევრები თავიანთ მუშაობას ანხორციელებენ სასოფლო საბჭოს ხელმძღვანელობით.

თ ა ვ ი III.

სასოფლო საბჭოს გამგებლობის საგანი.

41. საბჭოების და საბჭოთა ყრილობების არჩევნების ორგანიზაციისა და ჩატარების სფეროში სასოფლო საბჭო:

ა) აწყობს სასოფლო საარჩევნო კომისიას და ატარებს საანგარიშო და საარჩევნო კამპანიას;

ბ) არკვევს, იმ პირთ, რომელთაც საარჩევნო უფლება უნდა ჩამოერთვას, და აწარმოებს საარჩევნო უფლება-ჩამორთმეულ პირთა მუდმივ აღნუსხვას საარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამტკიცებული სიის მიხედვით;

გ) ირჩევს დელეგატებს საბჭოთა საარაიონო ყრილობისათვის.

42. საორგანიზაციო-მასიური მუშაობის სფეროში სასოფლო საბჭო:

ა) ჩააბამს თავის მუშაობაში მუშებს, მოჯამაგირეებს, კოლმეურნეებს და აგრეთვე ღარიბ და საშუალო გლეხთა ფენებს;

ბ) ხმარობს სათანადო ღონისძიებას საბჭოთა აღმშენებლობაში ქალთა ჩაბმისათვის და მათი სახელმძღვანელო მუშაობაზე დაწინაურებისათვის;

გ) აწარმოებს სისტემატიურ მუშაობას მოჯამაგირეთა და ღარიბთა შორის, ხმარობს სათანადო ღონისძიებებს მოჯამაგირეთა და ღარიბთა ჯგუფების მუშაობის ორგანიზაციისა და გაუმჯობესებისათვის და სვამს ამ ჯგუფებში განსახილველად მნიშვნელოვან საკითხებს, რაც სასოფლო საბჭომ უნდა განიხილოს;

დ) ატარებს სოფლად პოლიტიკურ და სამეურნეო კამპანიებს, რისთვისაც რაზმავს მშრომელთა ფართო მასებს;

ე) ხმარობს სათანადო ღონისძიებებს საბჭოთა და საკოლმეურნეო კადრების მომზადებისა და გადამზადებისათვის;

ვ) გამოუცხადებს და განუმარტავს მოქალაქეებს მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონებს და ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების განკარგულებებს.

43. ნაციონალური პოლიტიკის სფეროში სასოფლო საბჭო ანხორციელებს ღონისძიებებს ნაციონალურ უმცირესობათა უფლებების და ინტერესების დაცვისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის, მათი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული დონის ამაღლებისათვის და საბჭოთა აღმშენებლობაში ჩაბმისათვის.

44. სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი აპარატის გაუმჯობესებისა და მიცემული დირექტივების აღსრულების შემოწმების სფეროში სასოფლო საბჭო:

ა) ანხორციელებს ღონისძიებებს ადგილობრივ დაწესებულებათა, საწარმოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა აპარატის მუშაობის გაუმჯობესებისა და გამარტივებისათვის;

ბ) აწარმოებს ბრძოლას ბიუროკრატიზმთან, საქმის გაჭიანურებასთან და უყაირათობასთან;

გ) ანხორციელებს კონტროლს იმისათვის, რომ სასოფლო საბჭოს და აგრეთვე ხელისუფლების ცენტრალური და სარაიონო ორგანოების დადგენილებანი თავის დროზე და სწორედ იქნენ შესრულებული.

45. საგეგმო-სასტატისტიკო მუშაობის სფეროში სასოფლო საბჭო:

ა) ადგენს სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმას და წარუდგენს მას დასამტკიცებლად სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს;

ბ) უდგენს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს დასკვნას სახალხო მეურნეობის და სოციალურ-კულტურული მშენებლობის განვითარების სარაიონო გეგმის შესახებ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად შეესაბამება ეს გეგმა ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებას და ინტერესებს;

გ) ამტკიცებს სასოფლო საბჭოს მუშაობის გეგმას და აგრეთვე თავისი სექციების, სოფლობითი სექციების და დეპუტატთა ჯგუფების მუშაობის გეგმას;

დ) ამტკიცებს სასოფლო საბჭოს უშუალო გამგებლობაში მყოფ დაწესებულებათა და საწარმოთა ოპერატიულ გეგმებს და კონტროლს უწევს ამ გეგმების შესრულებას;

ე) იხილავს იმ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ოპერატიულ გეგმებს, რომელნიც სასოფლო საბჭოს არ ექვემდებარებიან და მის ტერიტორიაზე იმყოფებიან, აძლევს თავის დასკვნას ამ გეგმების შესახებ და ხელს უწყობს მათ ასრულებას;

ვ) ირჩევს სოფლის რწმუნებულებს სტატისტიკის დარგში და ატარებს საჭირო სასტატისტიკო მუშაობას;

ზ) აწარმოებს საკომლო დავთრებს.

46. სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისა და განვითარების სფეროში სასოფლო საბჭო:

ა) ანხორციელებს ღონისძიებებს არსებულ კოლმეურნეობათა განსამტკიცებლად და ახალ კოლმეურნეობათა მოსაწყობად;

ბ) იხილავს და ამტკიცებს კოლექტიურ მეურნეობათა და სხვა საწარმოო კოპერატიულ ორგანიზაციათა გეგმებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) პერიოდულად ისმენს ანგარიშებს იმ დაწესებულებათა და საწარმოთა მოქმედების შესახებ, რომელნიც კოლმეურნეობათა მშენებლობაში მონაწილეობას იღებენ, და აგრეთვე თვით სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე არსებულ კოლმეურნეობათა მოქმედების შესახებ;

დ) აძლევს დასკვნას კოლექტიურ მეურნეობათა შუამდგომლობაზე მათთვის კრედიტის, ინვენტარის და სხვ. მიცემის შესახებ;

ე) ხელმძღვანელობას უწევს ახალ მშენებლობას კოლექტიურ მეურნეობებში;

ვ) თვალყურს ადევნებს იმას, რომ კოლექტიურ მეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სწორედ იქნეს გამოყენებული მუშა-ხელი და აგრო-ტეხნიკური პერსონალი; მეთვალყურეობას უწევს აღნიშნულ მეურნეობებში შრომის დისციპლინის ორგანიზაციას და დაყენებას; ანხორციელებს ღონისძიებებს კოლმეურნეთაგან ახალი კვალიფიციური კადრების შესაქმნელად;

ზ) აჩერებს კოლმეურნეობათა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული შენაერთების უკანონო დადგენილებებს, რასაც დაუყოვნებლივ აცნობებს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს;

თ) ანხორციელებს ღონისძიებებს მარტივი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული შენაერთების უფრო მაღალ ფორმებზე გადასვლისათვის, ხოლო იმ რაიონებში, სადაც მთლიანი კოლექტივიზაცია არ არის, ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობათა აღორძინებისათვის ისე, რომ ამ მეურნეობათა განვითარება კოლექტივიზაციის მიმართულებით სწარმოებდეს;

ი) ხელს უწყობს საბჭოთა მეურნეობების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ორგანიზაციას და განმტკიცებას;

კ) ანხორციელებს ღონისძიებებს სათესი ფართობის გადიდებისა, მოსავლიანობის ამაღლებისა და მეცხოველეობის და სოფლის მეურნეობის სპეციალური კულტურების განვითარებისათვის; თვალყურს ადევნებს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის მიზანშეწონილად გამოყენებას; ანხორციელებს ღონისძიებებს მიწათმოწყობისა და მელიორაციის დარგში;

ლ) ანხორციელებს კანონებსა და განკარგულებებს მიწის ნაციონალიზაციის შესახებ; თვალყურს ადევნებს, რათა როგორც კოლექტიურმა, ისე ინდივიდუალურმა მეურნეობებმა სწორედ და მიზანშეწონილად გამოიყენონ მიწები და სანახები და საჭირო შემთხვევაში სვამს საკითხს ზედმდგომი ორგანოების წინაშე მათთვის მიწების და სანახების ჩამორთმევის შესახებ.

47. წყალთა მეურნეობისა და წყალსარგებლობის სფეროში სასოფლო საბჭო:

ა) ანხორციელებს ღონისძიებებს წყალთა მეურნეობის გაუმჯობესებისათვის; ატარებს ნატურალურ ბეგარას წყალსამეურნეო მუშაობისათვის; ანხორციელებს წყალმატებასთან და წყალდიდობასთან ბრძოლის ღონისძიებებს და სხვა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ხელმძღვანელობას უწევს სარწყავი არხების დროულად გაწმენდას და შეკეთებას; თვალყურს ადევნებს სარწყავი სისტემის ხელოვნურ ნაგებობათა მოვლასა და დაცვას;

გ) აწარმოებს წყლის მოსარგებლეთა აღნუსხვას და თვალყურს ადევნებს წყლის მორიგეობით სარგებლობას;

დ) აწყობს წყლის გამოსაღების გადახდევინებას;

ე) თვალყურს ადევნებს მერაბების, სოფლის ჯუვარების და წყლის დარაჯების მუშაობას.

48. მრეწველობის სფეროში სასოფლო საბჭო:

ა) აწარმოებს მის გამგებლობაში მყოფ სამრეწველო საწარმოთა ექსპლოატაციას და აწყობს ახალ სამრეწველო საწარმოებს;

ბ) განაგებს და განკარგავს სასოფლო მნიშვნელობის მქონე ზოგად გავრცელებული წიაღისეულის საბადოებს (ქვა, ქვიშა, თიხა და სხვა.);

გ) ანხორციელებს ღონისძიებებს საშინამრეწველო სარეწაოთა ორგანიზაციისა და განვითარებისათვის და შინამრეწველთა საწარმოო კოოპერირებისათვის;

დ) ზედამხედველობას უწევს იმ სამრეწველო საწარმოთა მუშაობას, რომელნიც სასოფლო საბჭოს არ ექვემდებარებიან, და ხელს უწყობს ამ საწარმოთა სამრეწველო-საფინანსო გეგმების აღსრულებას.

49. სატყეო მეურნეობის სფეროში სასოფლო საბჭო:

ა) განაგებს ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებს;

ბ) აწყობს ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების დაცვას, მონაწილეობას იღებს საერთო-სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებისა და ტყის ნარგავის დაცვაში; ანხორციელებს ტყის ხანძართან და ტყის დაცვის წესების დარღვევასთან ბრძოლის ღონისძიებებს;

გ) ნებას რთავს ადგილობრივი მნიშვნელობის ტყიდან ხე-ტყის გაცემისათვის.

50. მომარაგებისა, კოოპერაციისა და ვაჭრობის სფეროში სასოფლო საბჭო:

ა) ანხორციელებს ღონისძიებებს მშრომელთა კოოპერირებისათვის და კოოპერატიული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებისათვის;

ბ) თვალყურს ადევნებს მოჯამაგირეთა და ღარიბთა კოოპერირებისა და კოლექტივიზაციის ფონდში სახსრის თავის დროზე და სწორ გადარიცხვას და მონაწილეობას იღებს ამ სახსრის განაწილებაში; თვალყურს ადევნებს აღნიშნული სახსრის სწორედ გამოყენებას და ხმარობს ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ამ ფონდიდან გაცემული სესხის თავის დროზე დაბრუნება;

გ) თვალყურს ადევნებს იმას, რომ სავაჭრო ქსელმა შეასრულოს ვაჭრობის წესები; კონტროლს უწევს დაწესებული ფასების დაცვას;

დ) ზედამხედველობას უწევს ბაზრებსა და სავაჭრო მოედნებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) ხელმძღვანელობას უწევს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების კონტრაქტაციის გატარებას და დამზადების გეგმის შესრულებას;

ვ) აწესებს, მომქმედი კანონების ფარგლებში, საიჯარო ქირას სავაჭრო-სასაწყობო სადგომებისათვის და სავაჭრო ადგილებისათვის.

51. საბიუჯეტო-საფინანსო სფეროში სასოფლო-საბჭო:

ა) შეადგენს სოფლის ბიუჯეტს და წარუდგენს მას დასამტკიცებლად სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს; ამტკიცებს საკასო გეგმებს სოფლის ბიუჯეტის ფარგლებში;

ბ) გადააქვს კრედიტები სასოფლო ბიუჯეტით ერთი და იმავე კარის ფარგლებში;

გ) იღებს სესხს სპეციალური კანონებით გათვალისწინებული წესისამებრ;

დ) აღნუსხავს დაბეგვრის წყაროებს და ატარებს გადასახადთა და გამოსაღებთა გადახდევინებას;

ე) სწყვეტს საკითხს მთლად ადგილობრივ ბიუჯეტში ჩასარიცხი ადგილობრივი გადასახადისა, გამოსაღებისა და არასაგადასახადო შემოსავლის თანხის გადახდის ვადის გადადების, ვადის განაწილების და აგრეთვე ამ თანხის მოხსნის და დაბრუნების შესახებ;

ვ) ახდევინებს ჯარიმას და ნარჩენს ყველა გადასახადისა და გამოსაღებისათვის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე; შეადგენს მენარჩენეთა ქონების აღწერილობას და ჰყიდის ამ ქონებას საჯარო ვაჭრობით;

ზ) აწარმოებს სამკვიდრო ქონების აღწერას, იღებს ღონისძიებებს ამ ქონების დასაცავად და აწვდის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს ცნობებს გახსნილი მემკვიდრეობის შესახებ;

თ) ანხორციელებს ღონისძიებებს მოსახლეობის სახსრის მობილაზაციისათვის სასოფლო-სამეურნეო კრედიტის, ყველა სახის კოოპერაციის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სახელმწიფო სესხის და სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროების ხაზით;

ი) აწყობს და ანხორციელებს მოსახლეობის თვითდაბეგვრას;

კ) აწარმოებს დაზღვევის ობიექტების აღნუსხვას და სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის გადასახადის აკრეფას და აგრეთვე ხელს უწყობს ყველა სახის ნებაყოფლობითი დაზღვევის განვითარებას.

52. ადგილობრივი მეურნეობის, კეთილმოწყობის და საგზაო მშენებლობის სფეროში სასოფლო საბჭო:

ა) ანხორციელებს თავისი კომუნალური საწარმოების და მუნიციპილიზებული ფონდის (საცხოვრებელი შენობები, სკოლები, საავადმყოფოები და სხვ.) მშენებლობას და რემონტს, აწყობს მათ სწორ ექსპლოატაციას და აწარმოებს მუნიციპალიზებული ფონდის აღნუსხვას; შეადგენს ქონების საინვენტარო აღწერილობას;

ბ) განაგებს ქუჩების, მოედნების და სხვა საერთო სარგებლობის ადგილების მოწყობას და შენახვას და აგრეთვე ანხორციელებს სათანადო ღონისძიებებს სოფლების კეთილმოწყობისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ანხორციელებს ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებებს და აწყობს ტყის ხანძრის ქრობის საქმეს; აწყობს მოსახლეობის წყლით მომარაგების საქმეს;

დ) სათანადოდ ინახავს სასოფლო მნიშვნელობის არსებულ გზებს, ხიდებს, გადასავლელ ადგილებს და სამელიორაციო ნაგებობას, აწყობს ახალ გზებს, ხიდებს, გადასასვლელ ადგილებს და სამელიორაციო ნაგებობას (არხები, ჯებირები და სხვ.) და თვალყურს ადევნებს უფრო ფართო მნიშვნელობის მქონე გზების სათანადოდ მოვლას.

53. კავშირგაბმულობის სფეროში სასოფლო საბჭო ხელს უწყობს კავშირგაბმულობის დაწესებულებათა მუშაობას, იღებს ღონისძიებებს ადგილობრივი კავშირგაბმულობის განსავითარებლად (ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეფონი, რადიო), იხილავს ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის ორგანოების მიერ შემუშავებული სოფლის კავშირგაბმულობის ორგანიზაციის პროექტებს და აძლევს დასკვნას ამ პროექტების შესახებ.

54. შრომის სფეროში სასოფლო საბჭო:

ა) ანხორციელებს ზედამხედველობას იმისათვის, რომ ყველა დაწესებულებამ, საწარმომ და კერძო პირმა სისწორით დაიცვას შრომის კანონმდებლობა;

ბ) აწარმოებს იმ მეურნეობათა აღნუსხვას, რომელნიც დაქირავებულ შრომას იყენებენ, აგრეთვე სამეწარმეო და კულაკური ტიპის მეურნეობათა აღნუსხვას და შინამრეწველთა, ხელოსანთა და კოოპერატიულ ორგანიზაციათა შეგირდების აღნუსხვას;

გ) რეგისტრაციაში ატარებს მოჯამაგირეებთან დადებულ შრომის ხელშეკრულებებს და აგრეთვე თვალყურს ადევნებს დამქირავებელთა მიერ ამ ხელშეკრულებების აღსრულებას;

დ) აწარმოებს ჭარბი მუშა-ხელის აღრიცხვას კოლმეურნეობებში და ერთპიროვნულ მეურნეობებში; თვალყურს ადევნებს და ხელს უწყობს მუშა-ხელის შეგროვებას, რასაც ანხორციელებენ სამეურნეო ორგანიზაციები;

ე) იწვევს დადგენილ შემთხვევებში მოსახლეობას შრომითს ბეგარაზე (საგზაო, საჭაპანზიდვო და სხვ.).

55. სახალხო განათლების სფეროში სასოფლო საბჭო:

ა) ანხორციელებს ღონისძიებებს სოფლის მშრომელი მასების კულტურულ-პოლიტიკური დონის ასამაღლებლად, ატარებს მუშაობას საყოველთაო-სავალდებულო სწავლებისა და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დარგში; აწყობს სასოფლო ბიუჯეტზე მყოფ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს და ხელმძღვანელობას უწევს მათ მუშაობას;

ბ) ხელმძღვანელობას უწევს ბავშვთა საზოგადოებრივ აღზრდას; აწყობს სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებებს (საბავშვო ბაღები, ბაგები, მოედნები და სხვ.); ანხორციელებს ბავშვთა უპატრონობასთან და ზედამხედველობის უქონლობასთან ბრძოლის ღონისძიებებს; აწყობს მეურვეობას მცირეწლოვან ბავშვთათვის და მზრუნველობას არასრულწლოვანთათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) აწყობს სასოფლო-სამეურნეო და სხვა პროფესიონალურ-ტეხნიკური ცოდნის მასიურ გავრცელებას, ამაგრებს კოლმეურნეობათა ახალგაზრდობის სკოლებს და სხვა სასწავლებლებს საბჭოთა მეურნეობებზე, კოლმეურნეობებზე და აგრეთვე ფაბრიკა-ქარხნებზე, აწყობს სკოლებთან და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან სასკოლო მიწის ნაკვეთებს და სახელოსნოებს;

დ) ანხორციელებს ღონისძიებებს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ნივთიერი ბაზის გასაუმჯობესებლად (ახალი შენობების აგება, შეკეთება, ინვენტარის შეძენა და სხ.);

ე) ზრუნავს მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის;

ვ) აწყობს უღარიბეს მოსწავლეთა მომარაგებას ფეხსაცმელით, ტანსაცმელით, საჭმელ-სასმელით და სხვ.;

ზ) ანხორციელებს ღონისძიებებს ძველი საყოფაცხოვრებო ნაშთების წინააღმდეგ საბრძოლველად, კერძოდ ქალების გასანთავისუფლებლად ძველი საოჯახო ყოფაცხოვრების მონური პირობების ნაშთებისაგან.

56. ჯანმრთელობის სფეროში სასოფლო საბჭო:

ა) აწყობს სასოფლო ბიუჯეტზე მყოფ სამკურნალო და სასანიტარო დაწესებულებებს და ხელმძღვანელობას უწევს მათ მუშაობას; ამტკიცებს აღნიშნულ დაწესებულებათა ტეხნიკური პერსონალის დანიშვნას და დათხოვნას;

ბ) ანხორციელებს ღონისძიებებს სანიტარული ზედამხედველობის ორგანიზაციისათვის და გადამდებ და სოციალურ ავადმყოფობათა წინასწარ აცდენისათვის და აწარმოებს ბრძოლას ამ ავადმყოფობათა წინააღმდეგ;

გ) ანხორციელებს ღონისძიებებს მოსახლეობაში სასანიტარო-საგანმანათლებლო ცოდნის გასავრცელებლად და ფიზიკური კულტურის განსავითარებლად;

დ) აწყობს დედათა და ბავშვთა დაცვის დაწესებულებებს, აგრეთვე ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებს და ხელმძღვანელობას უწევს ამ დაწესებულებათა მუშაობას;

ე) აწყობს მეურვეობას ჭკუა-ნაკლებთათვის და სულით ავადმყოფთათვის.

57. სოციალური უზრუნველყოფის სფეროში სასოფლო საბჭო:

ა) აწარმოებს იმ პირთა აღნუსხვას, რომელთაც აქვთ სოციალური უზრუნველყოფის უფლება და აღნუსხვის მასალებს წარუდგენს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს;

ბ) აწყობს ინვალიდთა საწარმოო არტელებს და ინვალიდთათვის სხვა სახის შრომის დახმარებას;

გ) ანხორციელებს იმ შეღავათებსა და უპირატესობას, რაც კანონით დაწესებულია ინვალიდთათვის ყოფილ წითელგვარდიელთაგან, სამოქალაქო ომის წითელ პარტიზანთაგან და წითელარმიელთაგან, კულაკობის ძალადობის მსხვერპლთათვის და აგრეთვე წითელარმიელთა ოჯახთათვის და იმ პირთა ოჯახთათვის, რომელნიც დაიღუპნენ ფრონტზე და კონტრრევოლიუციასთან ბრძოლაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

იღებს ღონისძიებებს აღნიშნული კატეგორიების საგლეხო მეურნეობათა კოლექტივიზაციისათვის;

დ) ხელმძღვანელობას უწევს გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოებების მუშაობას;

ე) აწყობს მზრუნველობას სრულწლოვანთათვის, რომელთაც თავიანთი ფიზიკური მდგომარეობის გამო არ შეუძლიანთ თავიანთი უფლებების დაცვა (უსინათლო, ყრუმუნჯი და სხვ.), და სათანადო შემთხვევაში—მეურვეობას იმ პირთა ქონებისათვის, რომელნიც უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ ან გარდაიცვალნენ.

58. ქვეყნის თავდაცვის უნარის განმტკიცების სფეროში სასოფლო საბჭო:

ა) აწარმოებს წვევამდელთა, სამხედრო მსახურთა, სამხედრო-ვალდებულთა და ზურგის ლაშქარში ჩასარიცხ პირთა აღნუსხვას;

ბ) აწარმოებს ცხენთა შედგენილობის, საზიდავებისა და შესაბმელი გაწყობილობის აღნუსხვას;

გ) მონაწილეობას იღებს მოქალაქეთა ნამდვილი სამხედრო სამსახურისათვის მორიგი გაწვევის ჩატარებაში;

დ) იცავს მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში გაწვეულ პირთა ოჯახების უფლებრივ და ქონებრივ ინტერესებს;

ე) იღებს ღონისძიებებს იმისათვის, რომ საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა განავითარონ მუშაობა სამხედრო ცოდნის პროპაგანდის და გავრცელების საქმეში და აგრეთვე სასროლო და სხვა სახის სპორტის განვითარების საქმეში;

ვ) ხელს უწყობს ყველა სახის სასწავლო, შემმოწმებელ შეკრებათა და წვევამდელების შეკრებათა ჩატარებას;

ზ) აქტიურ მონაწილეობას იღებს ტერიტორიალური ნაწილების ცვალებადი შემადგენლობის პირთა შორის მუშაობის მოწყობასა და გატარებაში შეკრებიდან შეკრებამდე (დახმარებას უწევს სოფლად მოსულ მეთაურებს და პოლიტმომუშავეებს ცვალებადელთა შორის სამხედრო-პოლიტიკური მუშაობის გატარების საქმეში, იზიდავს ცვალებადი შედგენილობის პირებს აქტიურ საბჭოთა და საზრგადოებრივ მუშაობაზე და სხვ.);

თ) ანხორციელებს ბრძოლას სავალდებულო სამხედრო სამსახურისაგან თავის არიდების წინააღმდეგ და აგრეთვე მობილიზაციის დროს გაწვევისაგან და მიყვანისაგან თავის არიდების წინააღმდეგ.

59. სასამართლო-საგამომძიებლო სფეროში სასოფლო საბჭო:

ა) აწყობს სოფლის საზოგადოებრივ სასამართლოს და ისმენს მოხსენებას მისი მუშაობის შესახებ;

ბ) აწყობს სახალხო მსაჯულთა არჩევას სახალხო სასამართლოში მონაწილეობისათვის;

გ) ასრულებს სათანადო შემთხვევაში სანოტარო მოქმედებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) ასრულებს სასამართლო ორგანოების დავალებას სამოქალაქო სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

60. რევოლიუციონური წესრიგისა და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვის სფეროში სასოფლო საბჭო:

ა) უზრუნველჰყოფს თავის ტერიტორიაზე რევოლიუციონურ წესრიგს და საზოგადოებრივ უშიშროებას და გადამწყვეტ ბრძოლას აწარმოებს კულაკური და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტების გამოსვლებთან, რაც მიმართულია საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებათა გატარების წინააღმდეგ;

ბ) იღებს ღონისძიებებს დანაშულთა წინასწარ აღკვეთისათვის, დამნაშავეთა აღმოჩენისა და შეპყრობისათვის და დანაშაულის ადგილისა და კვალის დაცვისათვის;

გ) აწარმოებს ცალკეულ პირთა გაჩხრეკას, ამოხმას და შეპყრობას;

დ) ანხორციელებს სიმთვრალესთან, ხულიგნობასთან და არყის ფარულ გამოხდასთან ბრძოლის ღონისძიებებს და ზედამხედველობას უწევს სპირტიანი სასმელების ვაჭრობას;

ე) აღძრავს სარჩელს კაბალური ხელშეკრულების მოშლისა ან გაბათილების შესახებ;

ვ) ნიშნავს სოფლის აღმასრულებლებს;

ზ) ადგენს სათანადო შემთხვევაში ადმინისტრატიულ გადასახდელს სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის; ასრულებს დადგენილებას ადმინისტრატიული გადასახდელის დადების შესახებ.

61. საერთო მმართველობის სფეროში სასოფლო საბჭო:

ა) რეგისტრაციაში ატარებს მოქალაქობრივი მდგომარეობის ყველა აქტს, გარდა გვარისა და სახელის გამოცვლის აქტებისა, წარუდგენს, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით, მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების სარეგისტრაციო წიგნების თითო ცალს მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ცენტრალურ სამმართველოს; გასცემს ვინაობის მოწმობას და სხვადასხვა ცნობებს;

ბ) რეგისტრაციაში ატარებს გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოებებისა და ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოებების წესდებებს, უკეთუ ამ საზოგადოებათა მოქმედების რაიონი სასოფლო საბჭოს ტერიტორიის ფარგლებს არ სცილდება; რეგისტრაციაში ატარებს ნებაყოფლობითი საზოგადოებების და კავშირების ადგილობრივ განყოფილებებს, რომელნიც სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მოქმედობენ, და აგრეთვე თვალყურს ადევნებს მათ მუშაობას;

გ) თვალყურს ადევნებს რელიგიურ შენაერთთა შესახები კანონების განხორციელებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი VI.

სექციები.

ა) სექციები სასოფლო საბჭოსთან.

62. რათა სასოფლო საბჭოს ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმულ იქნენ სოფლის მშრომელთა ფართო მასები და, პირველ რიგში მოჯამაგირეები, კოლმეურნეები და ღარიბ და საშუალო გლეხთა ფენები, და რათა სასოფლო საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა მიიღოს საბჭოს ყველა წევრმა, სასოფლო საბჭოსთან ეწყობა სექციები:

ა) სასოფლო-სამეურნეო (საწარმოო თათბირი);
ბ) კულტურულ-საგანმანათლებლო;
გ) ჯანმრთელობის;
დ) საფინანსო-საგადასახადო;
ე) ადგილობრივი მეურნეობის და კეთილმოწყობის;
ვ) სავაჭრო-კოოპერატიული;
ზ) შრომის;
თ) საყოფაცხოვრებო;
ი) მუშათა და გლეხთა ინსპექციის;
კ) სასამართლო-საადმინისტრაციო;
ლ) სამხედრო.

გარდა ჩამოთვლილი სექციებისა, სასოფლო საბჭოსთან ეწყობა ქალთა სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირი.

63. სასოფლო საბჭოს უფლება აქვს, ადგილობრივი პირობების მიხედვით, არ მოაწყოს ზოგიერთი სექცია წინა მუხლში აღნიშნულ სექციათაგან და აგრეთვე მოაწყოს სხვა სექციები ან გააერთიანოს არსებული სექციები.

სასოფლო-სამეურნეო (საწარმოო თათბირის), კულტურულ-საგანმანათლებლო, საფინანსო-საგადასახადო, ადგილობრივი მეურნეობის და კეთილმოწყობის, მუშათა და გლეხთა ინსპექციის და სამხედრო სექციების მოწყობა სავალდებულოა.

შენიშვნა. სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირის ორგანიზაცია და ფუნქციები გათვალისწინებულია განსაკუთრებული დებულებით.

64. რათა ყოველნაირად ხელი შეეწყოს იმ ამოცანების გადაწყვეტას, რაც სასოფლო საბჭოს წინაშე სდგას, სექციები:

ა) ამუშავებენ თავიანთი მუშაობის გეგმებს და წარუდგენენ მათ დასამტკიცებლად სასოფლო საბჭოს, მონაწილეობას იღებენ სასოფლო საბჭოს მუშაობის გეგმის შემუშავებაში და თვალყურს ადევნებენ ამ გეგმის იმ ნაწილის აღსრულებას, რაც სათანადო სექციის მუშაობას ეხება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) გამოჰყოფენ თავის შედგენილობიდან ბრიგადებს ცალკეულ დარგებში სამუშაოდ ან განსაზღვრული დავალების შესასრულებლად; აწყობენ ბრიგადების მუშაობას სოციალისტური შეჯიბრის საფუძველზე;

გ) ამაგრებენ თავიანთ წევრებს სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მყოფ ცალკეულ დაწესებულებებსა და საწარმოებს მათი მუშაობის მეთვალყურეობისათვის;

დ) იკვლევენ დაწესებულებებსა და საწარმოებს და იმუშავებენ ამ გამოკვლევის მიხედვით თავიანთ დასკვნებსა და პრაქტიკულ წინადადებებს;

ე) ისმენენ თავიანთ სხდომებზე სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მყოფ დაწესებულებათა და საწარმოთა მოხსენებებს და ანგარიშებს და გამოაქვთ ამ მოხსენებისა და ანგარიშის გამო თავიანთი დასკვნები და პრაქტიკული წინადადებები;

ვ) წინასწარ იხილავენ სასოფლო საბჭოს მიერ განსახილველ საკითხებს;

ზ) დახმარებას უწევენ სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმს სასოფლო საბჭოს და ზემდგომი ორგანოების იმ დადგენილებათა განხორციელებაში, რაც სათანადო სექციის გამგებლობის სფეროს ეხება, რისთვისაც ასრულებენ სასოფლო საბჭოს და მისი პრეზიდიუმის სათანადო დავალებებს;

თ) აწარმოებენ ბრძოლას ბიუროკრატიზმთან, საქმის გაჭიანურებასთან, მექრთამეობასთან, ხულიგნობასთან, გაფლანგვასთან და უყაირათობასთან, რისთვისაც იღებენ საჭირო ღონისძიებებს სასოფლო საბჭოს მეშვეობით.

65. თავიანთ მუშაობაში სექციები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ კოლმეურნეობათა მუშაობას, მათში წარმოებისა, შრომისა და ყოფაცხოვრების ორგანიზაციას, კულტურულ-საგანმანათლებლო და სამხედრო-საპროპაგანდო მუშაობის გაშლას და სხვ.

66. სასოფლო საბჭოს ყველა წევრი და კანდიდატი ვალდებულია იმუშაოს ერთ სექციაში მაინც თავისი არჩევით. ამის გარდა, სექციების შედგენილობაში უსათუოდ უნდა შედიოდნენ სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მცხოვრები წევრები და კანდიდატები ყველა ზემდგომი აღმასრულებელი კომიტეტისა.

67. 66 მუხლში აღნიშნულ პირთა გარდა, სექციების შედგენილობაში ნებაყოფლობის წესით მიწვეულ უნდა იქნენ:

ა) კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები;

ბ) ღარიბთა და მოჯამაგირეთა ჯგუფების წარმომადგენელნი;

გ) ქალთა სადელეგატო კრებების დელეგატები;

დ) მოჯამაგირენი, ღარიბნი და საშუალო გლეხთა აქტივი;

ე) საკავშირო კომპარტიის (ბ) და საკავშირო კომკავშირის უჯრედების წარმომადგენელნი;

ვ) საქარხნო-საფაბრიკო და ადგილობრივი კომიტეტების წარმომადგენელნი და აგრეთვე პროფესიონალურ კავშირთა ადგილობრივი განყოფილებების წარმომადგენელნი და პროფესიონალურ კავშირთა ცალკეული წევრები;

ზ) სასოფლო საბჭოსთან არსებული სარევიზიო კომისიის წევრები და კანდიდატები;

თ) გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოებათა კომიტეტის წევრები;

ი) მასწავლებლები, ექიმები, აგრონომები, მიწის მზომლები, ფერშლები და სხვ.

68. სექციის პირად შედგენილობას ამტკიცებს სასოფლო საბჭო.

69. სექციის ყველა წევრს სექციის სხდომაში გადამწყვეტი ხმის უფლება აქვს.

70. სასოფლო საბჭოს სექციების მუშაობის საერთო ხელმძღვანელობა და აგრეთვე გაერთიანება და შეთანხმება ეკისრება სასოფლო საბჭოს.

71. თვითეული სექცია თავის წრიდან ირჩევს სექციის თავმჯდომარეს და მდივანს. უკეთუ სექციის შედგენილობა მრავალრიცხოვანია, სექციას შეუძლიან მოაწყოს ბიურო სამი წევრისაგან (მათ შორის იქნება სექციის თავმჯდომარე და მდივანი).

სექციის თავმჯდომარე ირჩევა სასოფლო საბჭოს წევრთაგან. განსაკუთრებულ შემთხვევაში სექციას შეუძლიან, სასოფლო საბჭოს დამტკიცებით, თავმჯდომარე აირჩიოს საბჭოს არაწევრთაგანაც.

72. სექციის მდივანს ეკისრება სხდომების ოქმების წარმოება, სექციის წევრების აღნუსხვა და თვალყურის დევნება იმისათვის, რომ წევრები სისტემატიურად ესწრებოდნენ სექციის სხდომებს და ასრულებდნენ მინდობილ სამუშაოს.

73. სექციის თვითეული წევრი ვალდებულია დაესწროს სექციის ყველა სხდომას და სათანადოდ შეასრულოს ყველა მინდობილობა, რასაც მას დააკისრებს სექცია ან მისი თავმჯდომარე.

74. უკეთუ სექციის წევრი სხდომას არ დაესწრო პატივსადები მიზეზის გარეშე და აგრეთვე არ შეასრულა სექციის დავალება, ეს გამოიწვევს მის გარიცხვას სექციის შედგენილობიდან. ეს გამორიცხვა ხდება სექციის დადგენილებით და მტკიცდება სასოფლო საბჭოს მიერ, თანაც ეცნობება იმ ორგანიზაციას, რომელმაც სექციის აღნიშნული წევრი დაასახელა.

75. სექციის თავმჯდომარეს, მდივანს და წევრებს სექციის მუშაობაში მონაწილეობისათვის გასამრჯელო არ ეძლევათ.

76. სექციის მიერ შემუშავებული ღონისძიების პროექტი და აგრეთვე მისი გადაწვეტილებანი წარედგინება განსახილველად და დასამტკიცებლად სასოფლო საბჭოს და განხორციელდება მათი დამტკიცების შემდეგ.

77. სექციის სხდომების ვადებს და მისი მუშაობის წესს საზღვრავს სექციის საერთო კრება და ამტკიცებს სასოფლო საბჭო იმ ანგარიშით, რომ სექციის სხდომები ეწყობოდეს თვეში ორჯერ მაინც.

სექციის სხდომებს იწვევს სექციის თავმჯდომარე ან ის პირი, ვინც მის მაგივრობას ეწევა, და სხდომა შემდგარად ითვლება, უკეთუ მას დაესწრო სექციის წევრთა ნახევარი რიცხვი მაინც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

78. სექციის სხდომები კარ-ღიაა. სხდომას შეიძლება დაესწრონენ სათათბირო ხმის უფლებით სექციის არაწევრებიც, გარდა იმ მოქალაქეებისა, რომელთაც საარჩევნო უფლება ჩამორთმეული აქვთ.

79. სექციის თვითეული სხდომისათვის შესდგება ოქმი, რომელშიაც აღინიშნება სექციის ყველა გადაწყვეტილება.

80. იმ შემთხვევაში, როდესაც სექციის მიერ დასამუშავებელი საკითხი სხვა სექციის მუშაობასთან არის დაკავშირებული, სასოფლო საბჭო იწვევს რამდენიმე სექციის გაერთიანებულ სხდომას.

81. სექცია თავისი მუშაობის ანგარიშს აბარებს სასოფლო საბჭოს და ამომრჩევლებს.

82. თავისი მუშაობისათვის სექცია იყენებს სასოფლო საბჭოს აპარატს.

ბ) სოფლობითი სექციები.

83. იმ სოფლებში, სადაც სასოფლო საბჭო არ არის, ეწყობა სოფლობითი სექციები კოლმეურნეთა, მოჯამაგირეთა და ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების პრაქტიკულ საბჭოთა მუშაობაში ჩაბმისათვის.

სოფლობითი სექცია შეიძლება მოეწყოს იმ შემთხვევაში, უკეთუ სასოფლო საბჭოში ამა თუ იმ სოფლიდან არის ერთი წევრი ან კანდიდატი მაინც.

84. თვითეულ სოფელში, 83 მუხლში აღნიშნულთაგან, ეწყობა ერთი საერთო სოფლობითი სექცია.

85. სოფლობითი სექცია ეწყობა და მუშაობს იმ წესით, რაც დადგენილია სასოფლო საბჭოსთან არსებული სექციებისათვის, ამასთანავე:

ა) სოფლობითი სექცია ეწყობა სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირის მსგავსად და თავის მუშაობას იგი ავრცელებს სოფლის ცხოვრების ყველა დარგზე, პირველ რიგში კი, სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის საქმეზე;

ბ) სოფლობითი სექციის თავმჯდომარე არის სასოფლო საბჭოს რწმუნებული ამა თუ იმ სოფელში;

გ) ურთიერთობას სოფლობითს სექციასა და სასოფლო საბჭოსთან არსებულ სექციებს შორის აწესრიგებს სასოფლო საბჭო.

თ ა ვ ი V.

დეპუტატთა ჯგუფები კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და სამრეწველო საწარმოებთან.

86. იმ შემთხვევაში, როდესაც სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე არის კოლმეურნეობა ან მსხვილი კოლმეურნეობის საწარმოო უბანი და აგრეთვე სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბჭოთა მეურნეობა, ან და მნიშვნელოვანი სამრეწველო საწარმო, მათთან ეწყობა დეპუტატთა ჯგუფები.

87. დეპუტატთა ჯგუფები შესდგება კოლმეურნეობის წევრთაგან, ან საბჭოთა მეურნეობის და სამრეწველო საწარმოს მომუშავეთაგან, რომელნიც იმავე დროს არიან სასოფლო საბჭოს წევრები ან კანდიდატები, სასოფლო საბჭოს სექციების წევრები, სასოფლო საბჭოსთან არსებული სარევიზიო კომისიის წევრები ან კანდიდატები და აგრეთვე ზემდგომი აღმასრულებელი კომიტეტის წევრები ან კანდიდატები.

88. კოლმეურნეობასთან და კოლმეურნეობის საწარმოო უბანთან და აგრეთვე საბჭოთა მეურნეობასთან და სამრეწველო საწარმოსთან არსებული დეპუტატთა ჯგუფები ანხორციელებენ შემდეგ მუშაობას:

ა) თვალყურს ადევნებენ, რათა კოლმეურნეობამ, სამრეწველო საწარმომ და საბჭოთა მეურნეობამ შეასრულონ თავიანთი საწარმოო გეგმები და აგრეთვე სასოფლო საბჭოს და ხელისუფლების ზემდგომი ორგანოების დადგენილებანი;

ბ) დახმარებას უწევენ კოლმეურნეობას და საბჭოთა მეურნეობას, რათა მათ გააუმჯობესონ თავიანთი მუშაობა (მეურნეობის, შრომის, ყოფა-ცხოვრების ორგანიზაცია და სხვ.), და ხელს უწყობენ იმ მიზეზების აღმოფხვრას, რაც აძნელებს სამრეწველო საწარმოს მუშაობას;

გ) აწარმოებენ ბრძოლას კულაკურ-კაპიტალისტურ და სხვა კლასიურად მტრულ ელემენტებთან;

დ) იცავენ ღარიბთა და მოჯამაგირეთა ინტერესებს;

ე) თვალყურს ადევნებენ, რათა კოლმეურნეობამ შეასრულოს თავისი ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე;

ვ) შეაქვთ სასოფლო საბჭოში და აგრეთვე კოლმეურნეობის გამგეობაში ან საბჭოთა მეურნეობის თუ სამრეწველო საწარმოს ხელმძღვანელ ორგანოში წინადადებები ამ ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესების საკითხების შესახებ;

ზ) აქტიურ მონაწილეობას იღებენ კოლმეურნეობის საწარმოო თათბირის და მისი სხვა კომისიების მუშაობაში და აგრეთვე სამრეწველო საწარმოს და საბჭოთა მეურნეობის საწარმოო თათბირის და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის მუშაობაში;

თ) აქტიურ მონაწილეობას იღებენ სამხედრო მუშაობაში, რაც კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში და სამრეწველო საწარმოში ტარდება;

ი) აქტიურ მონაწილეობას იღებენ დამკვრელი ბრიგადების ორგანიზაციასა და მათ მუშაობაში, სოციალისტურ შეჯიბრში და აგრეთვე სამრეწველო საწარმოში და საბჭოთა მეურნეობაში მუშაობის გაცდენასთან წარმოებულ ბრძოლაში.

89. დეპუტატთა ჯგუფი თავისი შედგენილობიდან გამოჰყოფს ხელმძღვანელს, რომელსაც ამტკიცებს სასოფლო საბჭო.

დეპუტატთა ჯგუფის მუშაობას საერთო ხელმძღვანელობას უწევს სასოფლო საბჭო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

90. დეპუტატთა ჯგუფის წევრები ესწრებიან კოლმეურნეობის გამგეობისა და საბჭოს ან სამრეწველო საწარმოს და საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელი ორგანოს სხდომებს და სასოფლო საბჭო ან სხვა ორგანო მონაწილეობას მიაღებინებს მათ კოლმეურნეობის ან საწარმოს მუშაობის გამოკვლევაში.

თავი VI.

სარევიზიო კომისიები სასოფლო საბჭოებთან.

91. სასოფლო საბჭოსთან ეწყობა სარევიზიო კომისია, რომლის უშუალო მიზანიც არის განახორციელოს ამომრჩეველთა ფართო მასების ნამდვილი და სისტემატიური კონტროლი სასოფლო საბჭოს და მის ქვემდებარე დაწესებულებათა და საწარმოთა სამეურნეო-ფინანსიური მოქმედებისათვის და აგრეთვე სასოფლო საბჭოს მასიური მუშაობის დაყენებისათვის.

92. სასოფლო სარევიზიო კომისიები ეწყობიან და მოქმედობენ განსაკუთრებული კანონით დადგენილი წესებისამებრ.

თავი VII.

ამომრჩეველთა საერთო კრება.

93. სოფლის ცხოვრების საკითხებისა და აგრეთვე სახელმწიფოს თუ რაიონისათვის საერთო მნიშვნელობის მქონე საკითხების განსახილველად და სასოფლო საბჭოს და მისი წევრების მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსასმენად იწვევა ამომრჩეველთა საერთო კრება.

94. ამომრჩეველთა საერთო კრებას საჭიროების მიხედვით იწვევს სასოფლო საბჭო ან სასოფლო საბჭოს რწმუნებული საბჭოს მინდობილობით. ამის გარდა, ამომრჩეველთა საერთო კრება იწვევა ღარიბთა და მოჯამაგირეთა ჯგუფისა, სასოფლო საბჭოსთან არსებული სარევიზიო კომისიისა ან ამა თუ იმ სოფლის ამომრჩეველთა საერთო რიცხვის ერთი მეხუთედის მოთხოვნით.

ამომრჩეველთა განცხადებაში საერთო კრების მოწვევის შესახებ აღნიშნულ უნდა იქნეს ის საკითხები, რაც საერთო კრებამ უნდა განიხილოს.

95. დიდ სოფლებში ამომრჩეველთა საერთო კრება შეიძლება მოწვეულ იქნეს სოფლის ცალ-ცალკე უბანში.

იმ შემთხვევაში, როდესაც სასოფლო საბჭოს შეაქვს ამომრჩეველთა საერთო კრების განსახილველად ისეთი საკითხები, რაც ამა თუ იმ სასოფლო საბჭოში გაერთიანებულ რამდენიმე სოფელს შეეხება, შეიძლება მოწვეულ იქნეს ყველა ამ სოფლის ამომრჩეველთა გაერთიანებული საერთო კრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

96. იმ შემთხვევაში, როდესაც საერთო კრებამ უნდა განიხილოს საკითხი საბჭოში არჩეული დეპუტატის უკან გაწვევის შესახებ, ან მოისმინოს სასოფლო საბჭოს ან საბჭოს წევრთა საანგარიშო მოხსენება, საერთო კრება იწვევა სათანადო საარჩევნო უბნის ამომრჩეველთაგან.

97. ამომრჩეველთა საერთო კრებას არ შეიძლება დაესწრონენ საარჩევნო უფლებას მოკლებული პირნი.

98. ამომრჩეველთა საერთო კრების მოწვევის დროს და ადგილს და აგრეთვე იმ საკითხებს, რაც აღნიშნულ კრებაზე განხილულ უნდა იქნენ, სასოფლო საბჭო ან მისი რწმუნებული წინასწარ აცნობებს ამომრჩევლებს სოფლის აღმასრულებელთა მეშვეობით და აგრეთვე თვალსაჩინო ადგილას სათანადო განცხადების გამოკიდებით.

განსაკუთრებით სასწრაფო შემთხვევაში სასოფლო საბჭოს ან მის რწმუნებულს შეუძლიან საერთო კრება მოიწვიოს ამ კრების დღის წესრიგის წინასწარ გამოუქვეყნებლად.

99. საერთო კრებას შეუძლიან შესცვალოს და შეავსოს სასოფლო საბჭოს ან მისი რწმუნებულის მიერ წარდგენილი დღის წესრიგი.

100. საერთო კრება უფლება-მოსილად ითვლება, უკეთუ მას დაესწრო ამა თუ იმ სოფელში ან უბანში მცხოვრებ ამომრჩეველთა 50% (საქართველოს სსრ მთიან ადგილებში—40%) მაინც.

სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლიან ცალკეული სოფლებისათვის გაადიდოს ამომრჩეველთა აღნიშნული რიცხვი, რაც საჭიროა იმისათვის, რომ საერთო კრება უფლებამოსილი იყოს.

შენიშვნა. ამა მუხლის მოქმედება არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც უწყებული საკითხების განსახილველად კანონით განსაზღვრულია ამომრჩეველთა საერთო კრების შედგენილობის რაიმე სხვა ნორმა.

101. საერთო კრებაზე გამოცხადებული ყველა პირი აღნუსხულ უნდა იქნეს. კრების გახსნისას კრება თავისი წრიდან ირჩევს პრეზიდიუმს სამი კაცისაგან, მათ შორის—მდივანს.

102. საკითხები საერთო კრებაზე სწყდება ახდილი ხმის მიცემით და მიიღება დამსწრეთა ხმის უმეტესობით.

103. საერთო კრებისათვის შესდგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ კრების თავმჯდომარე და მდივანი.

104. მომხსენებლებს იმ საკითხების შესახებ, რასაც საერთო კრების განსახილველად სასოფლო საბჭო შეიტანს, ასახელებს სასოფლო საბჭო, რომელიც ამავე საკითხების გამო ამუშავებს დადგენილებების პროექტებს და უდგენს მათ კრებას განსახილველად. ამ პროექტების გარდა, ცალკეულ ამომრჩევლებს შეუძლიანთ შეიტანონ დადგენილებათა სხვა პროექტებიც.

105. ცალკეულ ამომრჩევლებს, რომელნიც საერთო კრების დადგენილებას არ დაეთანხმებიან, შეუძლიანთ დაურთონ ოქმს ან ცალკე შეიტანონ სასოფლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოში თავიანთი განსაკუთრებული აზრი, ხოლო უნდა აღნიშნონ ის მიზეზი, რომლის მიხედვითაც საერთო კრების დადგენილება მათ არასწორედ მიაჩნიათ.

106. ამომრჩეველთა საერთო კრების ოქმი გადაეცემა სასოფლო საბჭოს, რომელიც ანხორციელებს საერთო კრების დადგენილებას. იმ შემთხვევაში, როდესაც სასოფლო საბჭო საერთო კრების დადგენილებას უკანონოდ და მიზანშეუწონლად სცნობს, იგი შეაჩერებს მას, ხოლო მთელ საქმეს აუცილებლად გადასცემს გადასაწყვეტად სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს.

შენიშვნა. საერთო კრების დადგენილება დეპუტატის უკან გაწვევის შესახებ შეიძლება შეჩერებულ იქნეს და წარედგინოს განსახილველად სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს ამა მუხლით გათვალისწინებული წესისამებრ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს დადგენილება გამოტანილ იქნა კანონის დარღვევით.

107. იმ ღონისძიებათა შესახებ, რასაც სასოფლო საბჭო მიიღებს მოქალაქეთა საერთო კრების დადგენილებების აღსასრულებლად, სასოფლო საბჭო აცნობებს მოქალაქეთა უახლოეს საერთო კრებას.

თ ა ვ ი VIII.

სასოფლო საბჭოს წევრები და კანდიდატები.

108. სასოფლო საბჭოს წევრები და კანდიდატები, როგორც მშრომელთა ფართო მასების წარმომადგენელნი, ვალდებული არიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ სასოფლო საბჭოს, მისი სექციებისა, სოფლობითი სექციებისა და დეპუტატთა ჯგუფების ყოველდღიურ მუშაობაში და განუწყვეტელი კავშირი იქონიონ ამომრჩევლებთან და სოფლის საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

109. სასოფლო საბჭოს წევრებსა და კანდიდატებს შეუძლიანთ მონაწილეობა მიიღონ სათათბირო ხმის უფლებით იმ ტერიტორიაზე მომქმედ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სხდომებსა და თათბირებში, რომელსაც სასოფლო საბჭო აერთიანებს.

110. სასოფლო საბჭოს წევრები და კანდიდატები ვალდებული არიან შეასრულონ ის მინდობილობა, რასაც მათ დააკისრებს სასოფლო საბჭო, მისი პრეზიდიუმი ან თავმჯდომარე.

111. უკეთუ სასოფლო საბჭოს წევრი და კანდიდატი სასოფლო საბჭოს სხდომას არ დაესწრო პატივსადები მიზეზის გარეშე და აგრეთვე უკეთუ საბჭოს წევრი და კანდიდატი დაკისრებულ მოვალეობას დაუდევრად ასრულებს, სასოფლო საბჭოს უფლება აქვს ასეთ წევრსა თუ კანდიდატს შენიშვნა ან საყვედური გამოუცხადოს, რაც უნდა აცნობოს ამომრჩევლებს ამ უკანასკნელთა საერთო კრებაზე გამოცხადებით, ბეჭდვითს ორგანოებში გამოქვეყნებით, ან სხვა რამ საშუალებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

112. სასოფლო საბჭოს თვითეულ წევრსა და კანდიდატს უფლება აქვს, უკეთუ იგი სასოფლო საბჭოს დადგენილებას არ დაეთანხმა, განაცხადოს თავისი განსაკუთრებული აზრი და მოითხოვოს ამ აზრის საბჭოს სხდომის ოქმში შეტანა.

113. სასოფლო საბჭოს წევრს და კანდიდატს უფლება აქვს გამოვიდეს სასოფლო საბჭოს სახელით მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მას ექნება საამისო რწმუნებამოსილობა საბჭოსაგან ან მისი პრეზიდიუმისაგან.

114. გამოკვლევის წარმოების ან სასოფლო საბჭოს სხვა მინდობილობის აღსრულების დროს სასოფლო საბჭოს წევრს უფლება არა აქვს ჩაერიოს გამოსაკვლევი დაწესებულების საწარმოს თუ ორგანიზაციის ოპერატიულ მუშაობაში და მას არ შეუძლიან მოახდინოს რაიმე განკარგულება თავისი თუ სასოფლო საბჭოს სახელით. გამოკვლევის შედეგს სასოფლო საბჭოს წევრი აცნობებს საბჭოს ან მის პრეზიდუმს.

115. საწარმო და დაწესებულება, სადაც სასოფლო საბჭოს წევრი მსახურობს, და აგრეთვე კერძო პირი, რომელთანაც იგი დაქირავებით მუშაობს, ვალდებული არიან გაანთავისუფლონ საბჭოს წევრი მუშაობისაგან იმ დროის განმავლობაში, რაც საჭიროა საბჭოს სხდომაზე დასასწრებლად.

იმ შემთხვევაში, როდესაც სასოფლო საბჭოს სხდომა სამუშაო დროს ხვდება, აღნიშნულ ორგანიზაციათ და პირთ უფლება არა აქვთ დაუჭირონ საბჭოს წევრ მუშას თუ მოსამსახურეს რაიმე თანხა სამუშაო ხელფასიდან და ამ დროისთვის უნდა მისცენ მას სასყიდელი საშუალო საშოვარის ანგარიშით.

შენიშვნა. სასოფლო საბჭოს ევალება შეუფარდოს თავისი მასიური მუშაობა (სექციების სხდომები და სხვ.) არასამუშაო დროს.

116. სასოფლო საბჭოს წევრი და კანდიდატი შეიძლება დაპატიმრებულ იქნენ მხოლოდ მის შემდეგ, რაც ეს ეცნობება სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმს ან თავმჯდომარეს. განსაკუთრებულ შემთხვევაში სასოფლო საბჭოს წევრი თუ კანდიდატი შეიძლება დაპატიმრებულ იქნენ ისე, რომ ეს გარემოება სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმს ან თავმჯდომარეს ეცნობოს შემდგომ, ხოლო არა უგვიანეს, ვიდრე 24 საათის განმავლობაში დაპატიმრების შემდეგ.

117. სასოფლო საბჭოს წევრს, რომელიც საბჭოს სხდომაზე არ გამოცხადდება, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის განკარგულებით შესცვლის კანდიდატი, თანაც აღნიშნულ შემთხვევაში კანდიდატს აქვს გადამწყვეტი ხმის უფლება.

ყველა დანარჩენ შემთხვევაში სასოფლო საბჭოს წევრის კანდიდატს სასოფლო საბჭოს სხდომებში სათათბირო ხმის უფლება აქვს.

118. სასოფლო საბჭოს თვითეული წევრი ვალდებულია წელიწადში ორჯერ მაინც ჩააბაროს ამომრჩევლებს ანგარიში თავისი მუშაობის შესახებ საბჭოში.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. მარტის 13.

ტფილისი.

მთავლიტი 1072. საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა ტირაჟი 1.400.